

რეზერვირებული დომენური სახელების რეგისტრაციის სპეციალური პირობები

ბოლო განახლების თარიღი: 2021 წლის 25 ივლისი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია .GE დომენის ადმინისტრაციისა და რეგისტრაციის წესების („დომენის რეგულაცია“) 3.2.5. პუნქტის შესაბამისად განსაზღვროს რეზერვირებული დომენური სახელების რეგისტრაციის სპეციალური პირობები.

1. რეზერვირებული დომენური სახელების სია

1.1 ქვეყნების სახელები

- (i) ქვეყნების სახელები რეზერვირებულია შესაბამისი ქვეყნის საკონსულოსა ან საელჩოსთვის;
- (ii) შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ წარმომადგენელს (საელჩო, საკონსულო ან მსგავსი) შეუძლია მიმართოს **რეგისტრატორს** რეზერვირებული **დომენური სახელის** დასარეგისტრირებლად.

1.2 საქართველოს ყველა ქალაქის, ადმინისტრაციული ერთეულის, მდინარეების, ტბების სახელები

- (i) საქართველოს ყველა ქალაქის, ადმინისტრაციული ერთეულის, მდინარეების და ტბების სახელები რეზერვირებულია რეგისტრაციისთვის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან უფლებამოსილი პირისთვის.

1.3 სატელეფონო კოდები

- (i) ყველა **დომენური სახელი**, რომელიც შედგება ციფრებისგან და რომლებიც იდენტურია სატელეფონო კოდის, რეზერვირებულია ასეთი სატელეფონო კოდის მფლობელისათვის.

1.4 დომენური სახელები, რომელთა რეგისტრაციაც არ არის შესაძლებელი

- (i) კიბერუსაფრთხოების მიზნებისთვის, სახელმწიფო ორგანოების, დაინტერესებულ პირთა (stakeholders) რეკომენდაციების გათვალისწინებით რეზერვირებული **დომენური სახელები**, რომლებიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

1.5 რეზერვირებული დომენური სახელების სრული სია გამოქვეყნებულია ადმინისტრატორის ვებ-გვერდზე. რეზერვირებული დომენური სახელების სია მოიცავს, დომენურ სახელებს, რომლებიც უკვე რეგისტრირებულია რეგისტრანტის სახელზე, დასარეგისტრირებელ (თავისუფალ) დომენურ სახელებს, ასევე დომენურ სახელებს, რომელთა რეგისტრაციაც არ არის შესაძლებელი.

2. რეზერვირებული დომენური სახელების რეგისტრაციის პირობები

- 2.1 რეგისტრანტს, რომელსაც სურს დაირეგისტრიროს რეზერვირებული დომენური სახელი, გარდა ისეთი დომენური სახელისა, რომლის რეგისტრაცია არ არის შესაძლებელი, უნდა წარადგინოს განაცხადი რეგისტრატორთან, რომელი განაცხადიც, გარდა დომენის რეგულაციით განსაზღვრულისა, უნდა შეიცავდეს შესაბამისი რეზერვირებული დომენური სახელის რეგისტრაციის უფლების ქონის დამადასტურებელ დოკუმენტს.
- 2.2 რეგისტრანტი პასუხისმგებელია რეგისტრატორისთვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. რეგისტრანტი ვალდებულია აცნობოს რეგისტრატორს წარდგენილი ინფორმაციის ცვლილების შესახებ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ელექტრონული განაცხადის წარდგენის გზით.
- 2.3 რეგისტრატორი ამოწმებს რეზერვირებული დომენური სახელის დასარეგისტრირებლად წარდგენილ ინფორმაციას და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს სარეგისტრაციო მოთხოვნებს აგზავნის განაცხადს ადმინისტრატორთან.
- 2.4 რეგისტრირებული რეზერვირებული დომენური სახელის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დომენური სახელის ხელახალი რეგისტრაცია, გარდა ისეთი დომენური სახელისა, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას, შესაძლებელია ამ დოკუმენტში მოცემული პირობების დაცვით.